

შპს ქართული მიკროელექტრონიკა

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10

შპს ქართული მიკროელექტრონიკა

ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ქართული მიკროელექტრონიკა-ს (შემგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებაზე
- ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს საქმიანობის შეჩერებას და ასევე პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობისა და სხვა დარღვევის აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის ხელმძღვანელობის მიერ

დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 31 აგვისტოს

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი



მთავარი ბუღალტერი: თეონა წულეისკირი



(ერთეულ ლარში)			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	710 523	571 592
არამატერიალური აქტივები	3	3 557	3 960
გაცემული სესხი -გრძელვადიანი	10	0	0
		714 080	575 552
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	2 266 324	2 334 854
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	0	220 303
გაცემული სესხი -მოკლევადიანი	10	4 906 219	5 449 162
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	7	1 100 291	1 103 753
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2 464 887	1 931 899
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	5 772 017	1 862 385
		16 509 739	12 902 357
მთლიანი აქტივები		17 223 819	13 477 909
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 618 994	7 952 271
გადაფასების რეზერვი		0	0
		4 618 994	7 952 271
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხი -გრძელვადიანი	10	5 655 068	1 450 638
გადასახდელი პროცენტი-გრძელვადიანი	10	0	0
ანარიცხები	10	0	0
		5 655 068	1 450 638
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები პერსონლის წინაშე	13	0	0
აღებული სესხი -მოკლევადიანი	10	5 758 135	2 108 950
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13	143 837	1 408 231
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	884 603	507 380
საგადასახადო ვალდებულებები	14	143 602	0
გადასახდელი ხელფასები	13	19 580	50 438
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		6 949 757	4 074 999
მთლიანი ვალდებულებები		12 604 825	5 525 638
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		17 223 818	13 477 909

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: თეონა წულუისკირი


შპს ქართული მიკროელექტრონიკა

ფინანსური ანგარიშგება

(ერთეულ ლარში)			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	710 523	571 592
არამატერიალური აქტივები	3	3 557	3 960
გაცემული სესხი -გრძელვადიანი	10	0	0
		714 080	575 552
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	2 266 324	2 334 854
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	0	220 303
გაცემული სესხი -მოკლევადიანი	10	4 906 219	5 449 162
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	7	1 100 291	1 103 753
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2 464 887	1 931 899
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	5 772 017	1 862 385
		16 509 739	12 902 357
მთლიანი აქტივები		17 223 819	13 477 909
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 618 994	7 952 271
გადაფასების რეზერვი		0	0
		4 618 994	7 952 271
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხი -გრძელვადიანი	10	5 655 068	1 450 638
გადასახდელი პროცენტი-გრძელვადიანი	10	0	0
ანარიცხები	10	0	0
		5 655 068	1 450 638
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები პერსონლის წინაშე	13	0	0
აღებული სესხი -მოკლევადიანი	10	5 758 135	2 108 950
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13	143 837	1 408 231
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	884 603	507 380
საგადასახადო ვალდებულებები	14	143 602	0
გადასახდელი ხელფასები	13	19 580	50 438
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		6 949 757	4 074 999
მთლიანი ვალდებულებები		12 604 825	5 525 638
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		17 223 818	13 477 909

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: თეონა წულეისკირი




(ერთეულ ლარში)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	16	7 611 364	4 250 777
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1 937 601)	(1 356 828)
მომსახურების თვითღირებულება		(402 199)	(124 245)
საერთო მოგება		5 271 564	2 769 704
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1 702 596)	(1 473 258)
მიწოდების დანახარჯები		(4 873)	(3 676)
ფინანსური შემოსავალი	20	290 279	73 337
ფინანსური ხარჯი	20	(729)	(1 449)
საოპერაციო მოგება		3 853 645	1 364 658
გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	18	195 213	(15 462)
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	18	(69 666)	(5 110)
სხვა ხარჯები	19	(566)	(4 390)
სხვა შემოსავლები	17	53	3 833
მოგება დაბეგვრამდე		3 978 679	1 343 528
მოგების გადასახადი	19	(1 096 793)	(279 475)
პერიოდის მოგება		2 881 886	1 064 053
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		2 881 886	1 064 053

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი -----

მთავარი ბუღალტერი: თეონა წულუისკირი -----

შპს ქართული მიკროელექტრონიკა

ფინანსური ანგარიშგება

(ერთეულ ლარში)			
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	16	7 611 364	4 250 777
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1 937 601)	(1 356 828)
მომსახურების თვითღირებულება		(402 199)	(124 245)
საერთო მოგება		5 271 564	2 769 704
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(1 702 596)	(1 473 258)
მიწოდების დანახარჯები		(4 873)	(3 676)
ფინანსური შემოსავალი	20	290 279	73 337
ფინანსური ხარჯი	20	(729)	(1 449)
საოპერაციო მოგება		3 853 645	1 364 658
გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	18	195 213	(15 462)
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	18	(69 666)	(5 110)
სხვა ხარჯები	19	(566)	(4 390)
სხვა შემოსავლები	17	53	3 833
მოგება დაზღვრამდე		3 978 679	1 343 528
მოგების გადასახადი	19	(1 096 793)	(279 475)
პერიოდის მოგება		2 881 886	1 064 053
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		2 881 886	1 064 053

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი



მთავარი ბუღალტერი: თეონა წულეისკირი



(ერთეულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	Note	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი			7 952 271	7 952 271
მოგება წლის ბოლოს		-	2 881 886	2 881 886
კაპიტალი სხვა ცვლილებები	25	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		-	2 881 886	2 881 886
დივიდენდი		-	(6 215 163)	(6 215 163)
2024 წლის 31 დეკემბერი		-	4 618 994	4 618 994

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი -----

მთავარი ბუღალტერი: თეონა წულუისკირი -----

შპს ქართული მიკროელექტრონიკა

ფინანსური ანგარიშგება

(ერთეულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	Note	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი			7 952 271	7 952 271
მოგება წლის ბოლოს		-	2 881 886	2 881 886
კაპიტალი სხვა ცვლილებები	25	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		-	2 881 886	2 881 886
დივიდენდი		-	(6 215 163)	(6 215 163)
2024 წლის 31 დეკემბერი		-	4 618 994	4 618 994

დირექტორი: ზურაბ ჯანიაშვილი

ჯანიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: თეონა წულეისკირი

წულეისკირი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული მიკროელექტრონიკა“ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2010 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა #106. მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ელექტრონული ნაწილებით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2024 წ.	2023წ.
<u>მფლობელი:</u>		
ზურაბ ჯანიაშვილი	19.5%	19.5%
დავითი ჯაფარიძე	19.5%	19.5%
ნიკოლოზი ღუდუშაური	19.5%	19.5 %
ანასტასია ღუდუშაური	19.5%	19.5%
ირაკლი ხოხიაშვილი	6.6%	6.6%
თამარ ჭანკოტაძე	3%	3%
თამარ სიხარულიძე	3%	3%
შპს iPOS	9,4%	9,4%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 აგვისტოს

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2 მომზადების საფუძვლები

2.1. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 3.2. შენიშვნაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში(რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიან“-ის კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობები	20-30
ოფისის აღჭურვილობა	
(კომპიუტერები და პერიფერიული მოწყობილობები, სერვერები და სხვა საკომუნიკაციო მოწყობილობები, ხელსაწყოები)	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები (მსუბუქი, მიკროავტობუსი)	8-10
სატესტო ძირითადი საშუალებები(ტერმინალები)	7-8

მირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

მირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.3. მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

3.4. ამონაგების აღიარება

სამი ტიპის ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები მხარდაჭერის ხელშეკრულებებიდან, ამონაგები სერვისის ხელშეკრულებებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან.

მხარდაჭერის ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება თანაბარზომიერად (წრფივად), ყოველთვიურად.

სერვისის ხელშეკრულებებიდან შესრულებული სამუშაოების ჩატარების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

3.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს,

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2,8068	2,6894
ლარი/ 1 ევრო	2,9306	2,9753

3.7. გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით. ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ბანკის ანგარიშებისგან

3.9. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შეძენასთან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად (გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

სავალო ინსტრუმენტები_ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა სავალო ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ესენი შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

ინვესტიციები სხვა კომპანიაში_თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლებით, თუ ასეთი არსებობს.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობა	ტერმინალები ი სქემები და სხვა სატესტო ძირითადი საშუალებები	კომპიუტერები და პერიფერიული მოწყობილობები	სერვერები და სხვა საკომუნიკაციო ხელსაწყოები და სხვა მოწყობილობები	ავეჯი	სხვა ინვენტარი (მაგივარი, გენერატორი , აკუმლიატორ ები)	არამატერ იალური აქტივები	სულ		
31 დეკემბერი 2023	487 319	19 551	135 687	4 926	26 990	30 192	41 411	-	5 539	751 614
შემოსვლა			139 978	19 183		13 585	560	23 263		196 570
გადაფასება										-
გასვლა/ჩამოწერა										-
31 დეკემბერი 2024	487 319	19 551	275 665	24 109	26 990	43 777	41 971	23 263	5 539	948 184
ცვეთა და გაუფასურება										
31 დეკემბერი 2023	(36 560)	(13 627)	(69 308)	(2 683)	(22 564)	(17 181)	(12 559)	(0)	(1 579)	(176 062)
პერიოდის ცვეთა	(16 244)	(1 041)	(24 642)	(1 264)	(2 183)	(4 807)	(4 227)	(3 231)	(403)	(58 042)
გაუფასურება										-
გასვლა										-
31 დეკემბერი 2024	(52 804)	(14 669)	(93 949)	(3 948)	(24 747)	(21 988)	(16 786)	(3 231)	(1 982)	(234 104)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი 2023	450 759	5 923	66 379	2 242	4 426	13 010	28 851	(0)	3 960	575 552
31 დეკემბერი 2024	434 515	4 882	181 716	20 161	2 243	21 789	25 185	20 032	3 557	714 080

- არ მომხდარა ძირითადი საშუალებების გაუფასურება, შიდა და გარე ინდიკატორების
არარსებობის გამო.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
უცხოური ვალუტის ეკვივალენტი საბანკო ანგარიშებზე	5 471 825	220 283
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	300 192	1 642 102
სულ	5 772 017	1 862 385

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2 464 887	1 931 899
გადახდილი ავანსები მათ შორის საგადასახადოს ზედმეტობა	1 100 291	1 324 056
სულ	3 565 179	3 255 955

კომპანიას არ უღიარებია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

შენიშვნა 8

მარაგები

	2024	2023
ნედლეული/საქონელი და სხვა	1 790 227	2 067 169
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	476 097	267 685
სულ	2 266 324	2 334 854

შენიშვნა 9

მისაღები დივიდენდები და პროცენტები

	2024	2023
მისაღები დივიდენდები		
მისაღები პროცენტები	-	-
	-	-

შენიშვნა 10

გაცემული/მიღებული სესხები

	2024	2023
გრძელვადიანი		
გაცემული სესხი	-	-
მიღებული სესხი	5 655 068	1 450 638
	5 655 068	1 450 638

მოკლევადიანი

გაცემული სესხი	4 906 219	5 449 162
მიღებული სესხი	5 758 135	2 108 950
	10 664 354	7 558 113

სულ სესხები	16 319 422	9 008 751
--------------------	-------------------	------------------

მოკლევადიანი გაცემული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 0%. მოკლევადიანი მიღებული სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 0%-ს.

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	884 603	507 380
ვალდებულებები პერსონლის წინაშე	19 580	50 438
მიღებული ავანსები/გამოუმუშავებელი შემოსავალი	143 837	1 408 231
სულ	1 048 020	1 966 049

შენიშვნა 14

საგადასახადო ვალდებულებები

	2024	2023
საგადასახადო ვალდებულება	143 602	-
სულ	143 602	-

შენიშვნა 16

ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	5 864 442	8 165 524
მომსახურების გაწევა	1 746 922	1 081 357
სულ	7 611 364	9 246 881

შენიშვნა 17

სხვა შემოსავალი

	2024	2023
მოგება საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
შემოსავლები ვალდებულების პატივიდან	53	3 833
არასაოპერაციო მოგება		
სულ	53	3 833

შენიშვნა 18

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2024	2023
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(69 666)	(5 110)
სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან მიღებული მოგება	195 213	(15 462)
სულ	125 546	(20 573)

შენიშვნა 19

სხვა ხარჯები

	2024	2023
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაცია	-	-
ძირითადი საშუალების გაუფასურების ზარალი		
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		
სხვა ხარჯი	-	-
ხარჯები ვალდებულების პატივიდან	(566)	(4 390)
საგადასახადო ხარჯი	(1 096 793)	(279 475)
სულ	(1 097 359)	(283 865)

შენიშვნა 20

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2024	2023
ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	729	1 449
სულ ფინანსური დანახარჯები	729	1 449

ფინანსური შემოსავალი

ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	290 279	73 337
სულ ფინანსური შემოსავალი	290 279	73 337

შენიშვნა 21

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს ერთერთი დამფუძნებელი, რომელიც ფლობს წილის 19.5%,ამავდრულად არის დაკავშირებული კომპანიის 100% წილის მფლობელი . ასეთია 2 კომპანია

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:
საქონლის მიწოდება:

	2024	2023
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	-	-
სულ	-	-

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2024	2023
საქონლის შეძენა		
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო		
სულ	-	-

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსგან საქონლის შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით. ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო წარმოადგენს მობილური აქსესუარებისა და კვების ბლოკებით მოვაჭრე საწარმოებს

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2024	2023
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	37 128	37 128
მოთხოვნა ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო		
ვალდებულება ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	-	
სულ	37 128	37 128

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი მისაღებია საქონლის რეალიზაციიდან 24 თვის ვადაში. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა

შენიშვნა 25

კაპიტალის სხვა ცვლილებები

	2024	2023
კაპიტალში სხვა ცვლილებები გამოწვეულია, გადაფასებებში ცვლილების	0	0
სულ	-	-

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	731 764	474 700
სულ	731 764	474 700